

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს განცხადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 11 ნოემბრის ბიუროს სხდომაზე უმაღლესი საბჭოს რამდენიმე წევრისაგან საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოსადმი გამოთქმული შენიშვნების, პასუხისმგებლობის დაყენებისა და შემდგომ გაჟღერებული სხვა ბრალდებების (მთავარი საინფორმაციო გამოშვების დრო, კონკრეტული სამთავრობო აქტივობების გაშუქება, საბჭოს ჩართულობა ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობაში) გამო საზოგადოებისა და ყველა აქტორი მხარის ინფორმირებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, განვაცხადოთ:

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მოვალეობასა და მოქმედების ჩარჩოებს განსაზღვრავს კანონი. შესაბამისად ნებისმიერი ბრალი, რომელიც მას ოფიციალურად წარედგინება განმტკიცებული უნდა იყოს სათანადო იურიდიული საფუძვლებით და შეუძლებელია ეს ჟღერდეს ფოლკლორული ტერმინოლოგიით.

მთავარი საინფორმაციო გამოშვების დრო შესაძლებელია იყოს მსჯელობისა და განხილვის საგანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მენეჯმენტისა და მით უფრო საბჭოს უმოქმედობის ნიშანი.





გვსურს, საზოგადოებისა და საკითხის ინიციატორი დეკლარაციების ყურადღება მივაპყროთ მედიასაშუალებების დამოუკიდებლობისათვის კანონში გამოხატულ პრინციპს: მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინანსდება გადასახადის გადამხდელისაგან, ის პირდაპირ არ მონაწილეობს მის მართვაში. მისი მონაწილეობა მართვის პროცესისაგან დისტანცირებულია გადამხდელისაგან არჩეული, ჩვენს შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს მეშვეობით. თავის მხრივ, უმაღლესი საბჭო დისტანცირებულია მრჩეველთა საბჭოს მეშვეობით, მრჩეველთა საბჭო დირექტორის მეშვეობით, დირექტორი კი სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად დისტანცირებულია საინფორმაციო და შემოქმედებითი ჯგუფებისაგან. ნებისმიერი გადანაცვლება უფლებამოსილების საზღვრისა ამ ჯაჭვიდან, რისი მოთხოვნაც ჰქონდა მრჩეველთა საბჭოსადმი დეკლარაციებს, და, როგორც თავად დაუშვა, ეს თავისი განცხადებებით (გვსურს დავიჯეროთ, რომ უნებლიეთ.), არღვევს კანონის და შესაბამისად მედიის დამოუკიდებლობის პრინციპს.

პოლიტიკური, კომერციული და ძალაუფლების მატარებელი ნებისმიერი კლასისაგან მიზანი საკუთარ სურვილებს მოარგოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა, აღქმულ იქნება, როგორც მედიის თავისუფლების ხელყოფის მცდელობა. მრჩეველთა საბჭო კანონით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებთან ერთად თავის უმთავრეს მისიად მიიჩნევს, სწორედ ამ გავლენებისაგან ტელევიზიის და რადიოს დაცვას. შესაბამისად, ნებისმიერი ლეგიტიმური და მისაღები ფორმით ვიბრძოლებთ რათა დავიცვათ აჭარის ტელევიზია და რადიო ნებისმიერი ჩარევისა და ზეწოლისაგან.

ამასთანავე, დეკლარაციებისაგან გამოთქმულ სურვილს დაიბარონ(!) მრჩეველთა საბჭო უმაღლეს საბჭოში, ვპასუხობთ უარით. ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ ღია მთელი საზოგადოების,

მათ შორის პოლიტიკური კლასისადმი. მზად ვართ ვიმსჯელოთ, ვისაუბროთ, ვიკამათოთ მათთან ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში, მაგრამ „დაბარება“, რომელიც კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნაა, ჩვენგან აღიქმება, როგორც უმაღლესი საბჭოს გაურკვეველობა საკუთარ უფლებებში. მზად ვართ კანონით გათვალისწინებული ფორმით, კანონითვე განსაზღვრულ ვადებში წარვუდგინოთ უმაღლეს საბჭოს ჩვენი საქმიანობის ანგარიში. ასევე ვუპასუხოთ მათ კითხვებს.

მივმართავთ ტელევიზიისა და რადიოს ჟურნალისტებს, შემოქმედებით ჯგუფებს და მენეჯმენტს: იმ სკეპტიციზმს, რომელიც თქვენი შესაძლებლობისადმი გაისმა უპასუხეთ მეტი პრინციპულობით, პროფესიული და კვალიფიციური ზრდის სურვილით. ღრმა, ანალიტიკური და მაღალმხატვრული პროდუქტით. მეტი ამბიციით იყოთ პირველთა შორის. არ დაუშვათ, რომ ემოციურად განსაჯოთ ჩვენდამი გამოთქმული მოსაზრებები. არ დაუშვათ, აღმოჩნდეთ მხარე. ყველაზე უკეთ ხომ თქვენ თავად იცით რამდენად გჭირდება განვითარება და პროფესიული დახვეწა, მომავალი წარმატებების მოსაპოვებლად.

მრჩეველი		რ. იმედაიშვილი
მრჩეველი		გ. ირემაძე
მრჩეველი		ბ. გობაძე
თავმჯდომარე		ზ. ხალვაში